



პროგრამის სახელწოდება

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ვეტერინარიის მაგისტრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

307 კრედიტი:

- სპეციალობა (ვეტერინარია) – 232 კრედიტი
- ზოგადი ან/და თავისუფალი კომპონენტები – 75 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის მიზანია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლოს:

- ცხოველების ბიოლოგიური თავისებურებების შესახებ ცოდნის გამოყენება პაციენტის გამოკვლევის, მისი სტატუსის შეფასების, დიაგნოზის დასმის და სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების, ნაყოფიერების და პროდუქტიულობის გაზრდის პროცესში
- პრაქტიკული პროცედურების შესრულება და მათი გამოყენების საჭიროების განსაზღვრა სხვადასხვა კლინიკურ შემთხვევაში
- დაავადების გამომწვევი მიზეზების და ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ ცოდნის გამოყენება პათოლოგიების დიაგნოსტიკაში, მათ პროფილაქტიკასა და მკურნალობაში

- მედიკამენტების მოქმედების მექანიზმის, ჩვენებების, უკუჩვენებების და გვერდითი ეფექტების შესახებ ცოდნის გამოყენება სხვადასხვა დაავადებების მკურნალობაში
- პროფილაქტიკური საშუალებების მოქმედების მექანიზმის, ჩვენებების, უკუჩვენებების და გვერდითი ეფექტების შესახებ ცოდნის გამოყენება სხვადასხვა დაავადებების პროფილაქტიკაში
- ცხოველების ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და პროდუქტიულობის გასაზრდელად ცხოველების სწორ მოვლა-შენახვაზე, დაბალანსებული კვების და სან-ჰიგიენური ნორმების დაცვის შესახებ ცოდნის გამოყენება
- სავეტერინარო კანონმდებლობის და პროფესიული ეთიკის გამოყენება კლინიკურ და სამეცნიერო პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემების გადასაჭრელად
- ცხოველური წარმოშობის პროდუქტების შემოწმების მეთოდების გამოყენება და შემოწმების შედეგების შეფასების უნარები კვების ბაზარზე უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის გასაშვებად
- სამეცნიერო კვლევის მეთოდების, მეთოდოლოგიის, მიდგომების, ანალიტიკური აზროვნების გამოყენება
- კლინიკური აზროვნება, პროფესიული მსჯელობა და პრობლემის არგუმენტირებული გადაჭრა
- ვეტერინარიის სფეროში სწავლის მუდმივი და უწყვეტი გაგრძელების აუცილებლობის გაცნობიერება და განსაზღვრა
- ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ღონისძიებების განმახორციელებელი ინსტიტუციური სისტემის მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებში გარკვევა და მათი გამოყენება

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა თეორიული და პრაქტიკული სწავლების სწორ დაგეგმვას და განხორციელებას. აღნიშნული გულისხმობს საგნის თეორიული შესწავლის პარალელურად მის პრაქტიკაში რეალიზებას. სტუდენტები ჩაებმებიან ინტერაქტიულ სწავლებაში და საკუთარ ცოდნას გამოიყენებენ სხვადასხვა პრაქტიკული დავალების შესასრულებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული (კლინიკური, საწარმოო და სამეცნიერო-კვლევითი) უნარ-ჩვევების გამომუშავებას და მათ მიერ პროგრამით გათვალისწინებული საგნების სიღრმისეულ შესწავლას, რაც თავის მხრივ შესაძლებელს გახდის შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. გარდა ამისა, პროგრამა კურსდამთავრებულებს მისცემს საკმარის ბაზას დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად და შესაძლო სამეცნიერო კარიერის განსავითარებლად.

დასაქმების სფეროები

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ ფართო დასაქმების პერსპექტივები. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს უფლება აქვს იმუშაოს შემდეგ სახელმწიფო და კერძო სავეტერინარო დაწესებულებებში:

ვეტერინარია:

- სავეტერინარო კლინიკები და ლაბორატორიები: ცხოველთა დაავადებების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა (ამბულატორიული და სტაციონარული);
- მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები, მეფუტკრეობის და მეთევზეობის მეურნეობები: დაავადებების პრევენცია, დიაგნოსტიკა და მკურნალობა;
- ფარმაცევტული საწარმოები, სავეტერინარო აფთიაქები: პრეპარატების წარმოება, გამოცდა და კონტროლი, შენახვა-გაცემა და ა.შ;
- ზოომდაზიები, ზოოპარკები, ვივარიუმები, აკვარიუმები, ტერარიუმები, იპოდრომები, ცხოველთა თავშესაფრები: მომხარებლების კონსულტაცია, ცხოველთა ზედამხედველობა, ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პრევენცია;
- კოსმეტიკური კაბინეტები: ცხოველთა მოვლა და კოსმეტიკური ჩარევები;
- სასაკლაოები: დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომი შემოწმება, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის (HACCP) შემოწმება და სხვ.;
- შესაბამისი სახელმწიფო უწყებები: ქვეყნის შიგნით და საზღვარზე ვეტერინარიული კონტროლის მექანიზმების შემუშავება და მათი განხორციელება ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ვეტერინარული მიმართულების მქონე სასწავლო და კვლევით დაწესებულებები:

- სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები: სამეცნიერო საქმიანობა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები: სასწავლო საქმიანობა.

ექსპერიმენტული მედიცინა:

- სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, ცენტრები და ინსტიტუტები: ექსპერიმენტული მედიცინის სხვადასხვა მიმართულებებზე მუშაობა.

მეცხოველეობა:

- მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმები, მეფუტკრეობის და მეთევზეობის მეურნეობები, კინოლოგიური სამსახურები: ცხოველთა მოშენება, აღწარმოება, კვება, ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა და ა.შ.

სურსათის უვნებლობა:

- სასაკლაოები, ხორცისა და ხორცპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები, თევზისა და თევზპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები, და სხვა.

გარემოს დაცვა:

- დაცული ტერიტორიები: ცხოველთა სახეობების მონიტორინგი, ეპიდემიური/ეპიზოოტიური სიტუაციების მონიტორინგი და პრევენცია.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ,

სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

ზოგადი კომპეტენციები

- კრიტიკული ანალიზის, მსჯელობისა და დებატის უნარი
- მშობლიურ ენაზე პროფესიული წერისა და კომუნიკაციის უნარი
- უცხოურ ენაზე (ინგლისური) წერისა და კომუნიკაციის უნარი
- უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი
- ჯგუფში მუშაობის უნარი
- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი
- კვლევის დაგეგმვის, კვლევის განხორციელების, მიღებული შედეგების ანალიზის და დასკვნების ჩამოყალიბების უნარი
- სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, ნაშრომის გაფორმების და საჯაროდ წარმოდგენის უნარი
- განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი

დარგობრივი კომპეტენციები

- ბიო-სავეტერინარო დისციპლინების სამეცნიერო პრინციპების, მეთოდების და ცოდნის გამოყენება სამეცნიერო კვლევაში, კლინიკურ და ლაბორატორიულ პრაქტიკაში (ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, კვლევის სწორის დიზაინის შედგენა, შედეგების ანალიზი, დასკვნის გამოტანა)

- პაციენტთან, პაციენტის პატრონთან და კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაცია და კონსულტაციის გაწევა
- პრაქტიკული პროცედურების/ მანიპულაციების ჩატარება
- კლინიკური შემთხვევების შეფასება, სპეციალური გამოკვლევის მოტივირებული დანიშვნა, გამოკვლევის შედეგების ანალიზი, ინტერპრეტაცია, დიფერენციალური დიაგნოზის გატარება და საბოლოო დიაგნოზის დასმა
- გადაუდებელი სავეტერინარო მდგომარეობის დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები)
- სამკურნალწამლო პრეპარატების დანიშვნა და რეცეპტის გამოწერა
- დაავადების მკურნალობის დასაბუთებული გეგმის შემუშავება
- დაავადების პროფილაქტიკური ღონისძიებების დასაბუთებული გეგმის შემუშავებასავეტერინარო კანონმდებლობის, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება ვეტერინარიის სფეროში წარმოშობილი პრობლემების გადასაჭრელად
- ცხოველთა უნაყოფობის დადგენა, განაყოფიერების ორგანიზება, პროდუქტიულობის გაუმჯობესება
- ცხოველური წარმოშობის პროდუქტების უსაფრთხოების განსაზღვრა
- ცხოველთა დაბალანსებული კვების ულუფის შედგენა

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტს:

ცოდნა და გაცნობიერება

- ეცოდინება სხვადასხვა სახეობის ცხოველების და ფრინველების ბიოლოგიური (გენეტიკური, ბიოქიმიური, იმუნოლოგიური, ფიზიოლოგიური, მორფოლოგიური, ქცევითი და სხვ.) თავისებურებები;
- ეცოდინება გარეგანი და შინაგანი ბიოლოგიური აგრესიისადმი ცხოველური ორგანიზმის საპასუხო თავდამცველობითი მექანიზმები და მათი მართვის შესაძლებლობები;
- გაცნობიერებული ექნება ბიოლოგიური ნორმატივების ცოდნის მნიშვნელობა ცხოველების ჯანმრთელობის შეფასების და დიაგნოზის დასმის პროცესში;
- ეცოდინება ცხოველების ტიპური პათოლოგიური პროცესები - ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური გამოვლინებები, კომპენსატორული მექანიზმები;
- ეცოდინება პაციენტის პატრონისგან ანამნეზის შეკრების, ეპიზოლოტიური სიტუაციის ანალიზის და მონაცემების შეკრების წესები;

- ეცოდინება დიაგნოსტიკის ფიზიკალური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევის მეთოდების გამოყენების თავისებურებები;
- ეცოდინება სამკურნალწამლო საშუალებების ძირითადი ჯგუფები, მათი მოქმედების მექანიზმები, ჩვენებები და უკუჩვენებები, გვერდითი ეფექტები, გამოყენების წესები (დოზირება, ხანგრძლივობა, ჯერადობა და ინტერვალები);
- ეცოდინება ინფექციური, პარაზიტული და შინაგანი დაავადებების ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური გამოვლინებები, დიაგნოსტიკის მეთოდები და მიდგომები;
- ეცოდინება ინფექციური, პარაზიტული და შინაგანი დაავადებების მკურნალობის და პროფილაქტიკის საკითხები;
- ეცოდინება ცხოველთა გამრავლების ბიოტექნოლოგია;
- ეცოდინება ცხოველების მაკეობის და მშობიარობის ფიზიოლოგია და მათი მართვის თავისებურებები;
- ეცოდინება ცხოველების რეპროდუქციული დაავადებების და უნაყოფობის ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლინიკური გამოვლინებები, დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პრევენციის პრინციპები;
- ეცოდინება ცხოველების ჯიშები და მათი სამეურნეო მნიშვნელობა პროდუქციის წარმოებაში;
- ეცოდინება მოშენების ტექნიკა, მოვლა-შენახვის სისტემები, პროდუქტიულობის სახეები, მათი ფორმირების და შეფასების პრინციპები;
- ეცოდინება სხვადასხვა სახის, სქესის, ასაკისა და ფიზიოლოგიურ მდგომარეობაში მყოფი ცხოველის შესაბამისი კვების თავისებურებები;
- ეცოდინება სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საკითხები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- შეეძლება ცხოველების ფიქსაცია, ცხოველების ფიზიკალური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევის მეთოდების გამოყენება;
- შეეძლება ავადმყოფი ცხოველებიდან ბიოლოგიური და პათოლოგიური მასალის აღება, დამუშავება, გაგზავნა ლაბორატორიაში, სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიული ანალიზის ჩატარება;
- შეეძლება პაციენტის პატრონისგან ანამნეზის შეკრება;
- შეეძლება ლეშის გაკვეთა, პათოლოგიური მასალის აღება, დამუშავება, ფიქსაცია, ტრანსპორტირება და ლაბორატორიაში გადაგზავნა, ორგანოების მაკრო- და მიკრომორფოლოგიური შესწავლა;

- შეეძლება სასამართლო სავეტერინარო ექსპერტიზის წარმოება, სადავო საკითხების შემთხვევაში სიტუაციის სწორი შეფასება და შემდგომი მოქმედების გეგმის დასახვა;
- შეეძლება დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომი ვეტერინარული შემოწმება;
- შეეძლება გადაუდებელი სავეტერინარო დახმარების გაწევა;
- შეეძლება მედიკამენტოზური და ქირურგიული მკურნალობის ჩატარება;
- შეეძლება დასმული დიაგნოზის და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე შესაბამისი მკურნალობის დანიშვნა - სამკურნალწამლო პრეპარატების შერჩევა და რეცეპტის გამოწერა;
- შეეძლება ცხოველებში სამკურნალწამლო ნივთიერებების სხვადასხვა გზებით (კანში, კანქვეშ, კუნთში, ვენაში და ა.შ.) შეყვანა;
- შეეძლება ინფექციური, პარაზიტული და შინაგანი დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობის და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
- შეეძლება რეპროდუქციული ორგანოების დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობის და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;
- შეეძლება ცხოველთა სამეანო გამოკვლევა, მკვების ვადების განსაზღვრა, გართულებული მშობიარობის მიზეზების დადგენა და კვალიფიციური სამეანო დახმარების გაწევა;
- შეეძლება ცხოველთა უნაყოფობის მიზეზების დადგენა, მკურნალობა და პროფილაქტიკა;
- შეეძლება სავეტერინარო პრეპარატების გამოცდა - პრეკლინიკური და კლინიკური გამოკვლევების ჩატარება;
- შეეძლება ცხოველთა გამოზრდისა და საწარმოო გამოყენების პროცესში წარმოშობილი ტექნოლოგიური დარღვევების იდენტიფიცირება, გამოწვეული დაავადებების და სტრესული სიტუაციების პრევენცია;
- საკვები საშუალებების კალორიულობის დადგენის საფუძველზე, შეეძლება სხვადასხვა ცხოველებისათვის სადღეღამისო ულუფების შედგენა, საკვების კვებისწინა შემზადების ტექნოლოგიის დაცვა და ნორმირებული კვება;
- შეეძლება ცხოველების მოშენების ისეთი ტექნიკის გამოყენება, მოვლა-შენახვის და პროდუქციის წარმოების ისეთი სისტემების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯანმრთელი პირუტყვის ეფექტურ გამოზრდას და მათ კეთილ-დღეობას;
- ეცოდინება სავეტერინარო კანონმდებლობის სამართლებრივი ნორმების და ნორმატიული აქტების გამოყენება.

დასკვნის უნარი

- შეეძლება შეკრებილი ანამნეზის საფუძველზე დასკვნის გაკეთება;

- შეეძლება პაციენტის ფიზიკალური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, მიღებული შედეგების საფუძველზე დიფერენციალური დიაგნოზის გატარება და საბოლოო დიაგნოზის დასმა;
- შეეძლება სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიული ანალიზებიდან მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია და დასკვნის გამოტანა;
- შეეძლება ცხოველთა დაავადებების სიკვდილის შემდგომი დიაგნოსტიკა;
- შეეძლება ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსაზრებების ჩამოყალიბება და მათი გადაჭრისათვის ალტერნატიული და დამატებითი რესურსების გამოყენება;
- საჭიროების შემთხვევაში, შეეძლება მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით დარეგულირებული დარგის/სფეროს სპეციფიკური საკითხების განხილვაში;
- შეეძლება ვეტერინარიის აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება სადიაგნოსტიკო მეთოდის შერჩევის, მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის, შერჩეული სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატების და ქირურგიული ჩარევის გამოყენების აუცილებლობის შესახებ;
- შეეძლება დარგობრივ სფეროში მოამზადოს წერილობითი ანგარიში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააკეთოს დასკვნები;
- შეეძლება ბიო-სავეტერინარო სფეროში სამეცნიერო ექსპერიმენტის დაგეგმვა, კვლევის შესრულება, მიღებული შედეგების ანალიზი და დასკვნების გამოტანა.

კომუნიკაციის უნარი:

- შეეძლება საკუთარი ნაშრომის და მოსაზრებების წარმოდგენა პროფესიული აუდიტორიის წინაშე;
- შეეძლება პროფესიული საკითხების ირგვლივ დებატებში, დისკუსიებში და საჯარო განხილვებში მონაწილეობა;
- შეეძლება ქართულ და ინგლისურ ენებზე წერილობითი და ზეპირი პრეზენტაცია;
- შეეძლება გუნდურად მუშაობა;
- შეეძლება დისკუსიაში შესვლა, დიაგნოზის დასასმელად აუცილებელი ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოკითხვა, დასკვნების გამოტანის შემდეგ დაავადების დიაგნოზის დასადგენად განმარტება/ჩამოყალიბება და ჩასატარებელი მკურნალობის შესახებ ინფორმაციის დეტალურად და მკაფიოდ გადაცემა;
- შეეძლება სხვადასხვა საკითხების (მათ შორის, არსებული პრობლემების და მიღებული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის) კოლეგებისა და პაციენტების პატრონებისათვის ლაკონური და გასაგები ფორმით გაზიარება.

სწავლის უნარი

შეეძლება სწავლის ამოცანების და მეთოდების განსაზღვრა, სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა, უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, საფუძვლიანი დამუშავება და მიღებული ახალი ინფორმაციის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე ცოდნის გაღრმავება, პუბლიკაციის დაწერა, ჰიპოთეზების ჩამოყალიბება და პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზების პოვნა.

ღირებულებები

- გაცნობიერებული ექნება საკუთარი პროფესიის მნიშვნელობა ცხოველისა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის;
- შეეძლება პროფესიული ეთიკის დაცვა;
- გაცნობიერებული ექნება სავეტერინარო დეონტოლოგიის და კოლეგიალობის მნიშვნელობა პროფესიული საქმიანობის პროცესში, პროფესიული მოღვაწეობის ყველა ეტაპზე;
- გაცნობიერებული ექნება პაციენტებთან მუშაობისას (დაწყებული ცხოველის გამოკვლევებიდან მკურნალობის დასრულებამდე) ბიოეთიკის ყველა ნორმების შესრულების აუცილებლობა;
- გააცნობიერებს ექსპერიმენტული ვეტერინარიის ცოდნის საჭიროებას კლინიკურ და პრევენციულ ვეტერინარიაში არსებული პრობლემების შემდგომი გადაჭრისთვის, კლინიკური ვეტერინარიის საკითხების ცოდნის მნიშვნელობას ცხოველთა დაავადებების უშეცდომო/ კვალიფიციურ დიაგნოსტიკასა და ეფექტურ მკურნალობაში, პრევენციული ვეტერინარიის საკითხების ცოდნას გადამდები დაავადებების აღმძვრელების გავრცელების აღკვეთაში, ეპიდემიური/ ეპიზოოტიური აფეთქებების ჩაქრობასა და ზოონოზური ინფექციებისგან მოსახლეობის დაცვაში;
- გაცნობიერებული ექნება სავეტერინარო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების, ცხოველების დაკვლისწინა და დაკვლის შემდგომი ექსპერტიზის შესრულების მნიშვნელობა მოსახლეობაში ინფექციური დაავადებების აღმძვრელების გავრცელების აღსაკვეთად.
- გაცნობიერებული ექნება სავეტერინარო კანონმდებლობის მნიშვნელობა პროფესიული საქმიანობის და ღონისძიებების მართვასა და კონტროლში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდები. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, როგორც წესი,

გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები: ვერბალური მეთოდი, დისკუსიები/დებატები, დემონსტრირების მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების შესწავლა, გონებრივი იერიში, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები, ანალიზი.

ამასთან, ლექტორი უფლებამოსილია სასწავლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეთითება სილაბუსში.

სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი, ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები, ესენია: საშინაო დავალებები, ტესტები, პრაქტიკული გამოცდა, პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოების გარჩევა, ანგარიშები, პროექტი და სხვა. სასწავლო კურსების მიხედვით სწავლების მეთოდები გაწერილია სილაბუსებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტანია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი. ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სასწავლო გეგმა

სასწავლო გეგმა შედგება რამდენიმე კომპონენტისგან:

კომპონენტი	ECTS
საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების საგნები (ზოგადი ან/და თავისუფალი კომპონენტები)	75
• ზოგადი განათლება	53
• ვეტერინარიის ზოგადი განათლება	22
სპეციალობა - ვეტერინარია (სპეციალობის განათლება)	232
• საბაზისო მეცნიერებები	13
• სპეციალობის კომპონენტი	219
სულ კრედიტების რაოდენობა	307

საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმი და სემესტრული სასწავლო გეგმა.